

„დამტკიცებულია“
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
2014 წლის „2“ აპრილი, № 50“ სხდომის
„№3“ დადგენილებით

კომერციალიზაციის დეპარტამენტის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. კომერციალიზაციის დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ემსახურება უნივერსიტეტის ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პროექტების, ასევე ტექნო-ტრანსფერული რესურსების ადგილობრივი რეალიზებისა და გლობალური ინტეგრირების პრობლემების გადაჭრას.
2. ეს დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტის კომერციალიზაციის დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) ფუნქციებს და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის ფუნქციები

1. დეპარტამენტის ფუნქციაა კომერციალიზაციის პროცესის ეფექტური მართვის დაგეგმვა და რეალიზება, ტექნო-ტრანსფერებში და მისი სტანდარტების, სალიცენზიო და ნორმატიული აქტების შექმნაში მონაწილეობა.
2. დეპარტამენტი სამეცნიერო დეპარტამენტთან ერთად ადგენს უნივერსიტეტის კვლევათა ტექნიკური აღწერის კატალოგს და უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების მოცულობას.
3. დეპარტამენტი:

- ა) მონაწილეობს (მრჩველის სტატუსით) უნივერსიტეტის საინოვაციო-საწარმოო უნივერსიტეტის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში;
- ბ) მონაწილეობს მეცნიერულ კვლევათა კომერციალიზაციის ორიგინალური კონცეფციის შექმნასა და ინოვაციური ბიზნესისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შემუშავებაში;
- გ) მონაწილეობს უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და საწარმოო კომპლექსის მოდერნიზაცია-სინთეზის პროცესებში (მრჩველის სტატუსით), რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ბაზრისა და ბიზნესის, დამქირავებლისა და კონკრეტული დამკვეთის მოთხოვნებთან;
- დ) მონაწილეობს საინოვაციო სამეცნიერო-საგანმანათლებლო ბიზნეს-კომპლექსის სტრატეგიების შემუშავებაში, ბიზნესზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო-სამეცნიერო-სამეწარმეო ცენტრების ორგანიზების მიზნით;
- ე) მონაწილეობს უნივერსიტეტის ინოვაციური კვლევისა და პროფესიული მოღვაწეობის მთავარი მიმართულებების სტრატეგიების შექმნაში;
- ვ) მონაწილეობს ინოვაციური მოღვაწეობის საკადრო უზრუნველყოფის სტრატეგიების განსაზღვრაში, ინოვაციური სფეროს სპეციალისტთა მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების მრავალსაფეხურიანი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაში, საინოვაციო სფეროს "საკადრო უსაფრთხოების" განხორციელების მიზნით;
- ზ) მონაწილეობს ღებულობს რეკომენდაციების შექმნაში პარტნიორული ურთიერთობისათვის სახელმწიფოს ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ მმართველობასთან, სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან, ფონდებთან და სხვა იურიდიულ პირებთან.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი.
2. დეპარტამენტში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული უნივერსიტეტის სტრუქტურის შესაბამისად.
3. დეპარტამენტის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანას განიხილავს და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი).
3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.